განმარტებითი ბარათი

საკრებულოს დადგენილების პროექტზე.

,,ხონის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

დადგენილების მიღების მიზეზი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2026 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2026 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2026-2029 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო მონაცემების (2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2026 წლისთვის •რეალური ეკონომიკური ზრდა დაგეგმილია 5,0%-ის ოდენობით, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 5,3%-

აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 1551 მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

ბიუჯეტის პარამეტრები

საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6^1-ე პუნქტების გათვალისწინებით შეესაბამება საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

სულ საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი შეადგენს 12802,0 ათას ლარს.

დამატებული ღირებულების გადასახადიდან 2026 წელს პროგნოზირებული მისაღები შემოსავალი შეადგენს 12152.0 ათას ლარს. 2025 წლის დაგეგმილი შემოსავალი შეადგენს 11352,6 ათას ლარს. 2026 წლის გეგმა იზრდება 799.4 ათასი ლარით (7,04 %-ით).

ქონების გადასახადის 2026 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 650,0 ათას ლარს; 2025 წლის ქონების გადასახადის პროგნოზი შეადგენს 600,0 ათასი ლარს. 2026 წელს ქონების გადასახადის პროგნოზი 2024 წლის გეგმასთან შედარებით გაიზარდა 50,0 ათასი ლარით. ზრდა 8,33 %.



გრანტები დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის. დაგეგმილი მაჩვენებლები (მიზნობრივი ტრანსფერი) 2026 წელს განისაზღვრება 188,7 ათასი ლარით. მიზნობრივი ტრანსფერით გამოყოფილი თანხით ფინანსდება ა(ა)იპ ხონის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის ცენტრისათვის.

სახელმწიფო ფონდებიდან მისაღები კაპიტალური და მიმდინარე გრანტები გამოიყოფა 2026 წლის დასაწყისში. სავარაუდო თანხა მიუახლოვდება ათი მილიონ ლარს.

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტი.

უცხოური ორგანიზაციებიდან დაფინანსებით მიღებული გრანტის თანხა 2026 წლის დასაწყისისთვის შეადგენს 0,0 ლარს. 2024 წელს შეადგენდა 1,115,5 ათას ლარს, 2025 წლის გეგმით 428,2 ათასი ლარი.

2026 წელს არასაგადასახადო შემოსავლების გეგმის პროგნოზი შეადგენს 650,0 ათას ლარს. არასაგადასახადო შემოსავლებიდან მისაღები თანხები სახეების მიხედვით შემდეგია:

შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 280,0 ათასი ლარის ოდენობით.

- დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები 80.0 ათასი ლარი.
- რენტა - 200,0 ათასი ლარი.

შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 150,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

- მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე 30,0 ათასი ლარი.

- ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 50,0ათასი ლარი.
- შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 70,0 ათასი ლარი;

შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 150,0 ათასი

- შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო 150,0 ათასი ლარი.

  - **ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული განსაზღვრულია 70,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

    - მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 70,0 ათასი ლარი. შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს კონტრაქტორი კომპანიების მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული ჯარიმა.



სხვა შემოსავლების შედარებითი ანალიზი (2024–2026)

გრაფიკი ასახავს ხონის მუნიციპალიტეტის სხვა შემოსავლების სტრუქტურას 2024–2026 წლებში. წარმოდგენილ სტრუქტურაში 2026 წელს აღინიშნება სხვა შემოსავლების ზომიერი ზრდა — მთლიანობაში 650,0 ათასი ლარი, რაც 2025 წელთან შედარებით 61,2 ათასი ლარით მეტია (+10,4%). ზრდის ძირითადი წყაროებია საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია (+13,2 ათასი ლარი) და სანქციებიდან მიღებული შემოსავლები (+30,0 ათასი ლარი). რენტისა და ადმინისტრაციული მოსაკრებლების ნაწილში მაჩვენებლები სტაბილურია, ხოლო საკუთრებიდან მიღებული შემოსავლები მცირედით მატულობს (260,0 → 280,0 ათასი ლარი). აღსანიშნავია, რომ 2026 წლის სტრუქტურა უფრო დაბალანსებულია და ნაკლებად დამოკიდებულია ერთჯერად გადასახადებზე.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავალი. (პრივატიზაცია: სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 3625.2 ათას ლარს.

სულ ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობების ნაწილი განისაზღვრა 17077.2 ათასი ლარის ოდენობით.

2026 წლის ბიუჯეტის ზრდის ფაქტორები:

ბიუჯეტის ზრდა განპირობებულია საგადასახადო შემოსავლების (დ.ღ.გ. +7,0%, ქონების გადასახადი +8.33%) მატებით, არასაგადასახადო შემოსავლების ზომიერი ზრდით (+10,4%), ქონების პრივატიზაციიდან მიღებული 3,6 მლნ ლარის შემოსავლით და სახელმწიფო ფონდებიდან მოსალოდნელი გრანტებით (~10 მლნ ლარი). მთლიანობაში, მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები 2026 წელს გაიზარდა დაახლოებით **11,4%-ით** 2025 წელთან შედარებით.

მუნიცპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

2026 წლის მუნიცპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების თანხა შეადგენს 17077,2 ათას ლარს (2025 წლის ბიუჯეტის პირველადი დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით (15336,0 ათასი ლარი) გაზრდილია 1741,2 ათასი ლარით 11,35%).

2025 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია გაზრდილი ხარჯები ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში დასაქმებული პირებზე და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ში დასაქმებულ პირებზე შრომის ანაზღაურების გაზრდა 10%-ის ოდენობით.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

- **ინფრასტრუქტურის განვითარება - 835,0 ათასი ლარი; მათ შორის:**

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:
საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 180,0ათასი ლარი;
საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელედება რეგიონალური განვითარების ფონდიდან დაფინანსებით განხორციელებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების საზედამხედველო მომსახურების შესყიდვა. მუნიციპალიტეტის ქუჩების ზოგიერთი ნაწილი საჭიროებს კაპიტალურ რეაბილიტაციას, ასევე, მიმდინარე შეკეთებით სამუშაოებს. მუნიციპალიტეტში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის საჭიროა საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგება. მოხდება საგზაო ნიშნების მოწყობა. გაიწმინდება თოვლის საფარისგან.

მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოების აბსოლიტური უმრავლესობა ფინანსდება სახელმწიფო ფონდების დაფინანსებით. მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხის ასახვა ხდება მიმდინარე საბიუჯეტო წელს. შესაბამისად განხორციელდება ბიუჯეტში ცვლილებები და აისახება 2026 წლის ბიუჯეტში. მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლებიდან წილი ძალიან მცირეა.

□□გარე განათება -410,0 ათასი ლარი;

ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში, უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ხონში და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში). ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას 410.0 ათასი ლარი. ახალი ქსელის მოწყობა მნიშვნელოვნად ზრდის ყოველწლიურად მოხმარებული ელ ენერგიის ხარჯს. 2024 წლის ხარჯი შეადგენდა 330,638 ათას ლარს 2025 წლის სავარაუდო ხარჯი შეადგენს 375,00 ათას ლარს. 2026 წლის 410,0 ათას ლარს.

ელექტროენერგიის ხარჯების დინამიკა (2024–2026)

ახალი ქსელის მოწყობის შედეგად ელექტროენერგიის ხარჯი წლიურად მატულობს. 2024 წელს ხარჯი შეადგენდა 330,6 ათას ლარს, 2025 წელს — 375,0 ათას ლარს (ზრდა 13.4%), ხოლო 2026 წელს — 410,0 ათას ლარს (ზრდა 9.3%). ჯამურად, 2024 წლიდან 2026 წლამდე ხარჯი გაიზარდა დაახლოებით 24.0%.



ქვეპროგრამა: სამოქალაქო ბიუჯეტი (პროგრამული კოდი 02 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება, ისეთი ინფრასტრუქტურული ღონისძიებები, რომელიც შერჩეული იქნება ქალაქ ხონის მოსახლეობის მიერ.

ქვეპროგრამა ქმნის შესაძლებლობას მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნას საზოგადოებრივი ინტერესები.

ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს საბიუჯეტო პროცესში ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთქმედების ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც ქ. ხონის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეებს სთავაზობს თავად შეიმუშაონ კონკრეტულ დასახლებაში არსებული პრობლემის გადაჭრის გზები და რიგი პროცედურების გავლის შედეგად განსაზღვრონ პრიორიტეტული პროექტები.

მოსალოდნელი შედეგი: ხელშეწყობილია ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოსახლეობის ურთიერთთანამშრომლობა პრიორიტეტების განსაზღვრის საქმეში, უზრუნველყოფილია მოსახლეობის ჩართულობა საბიუჯეტო პროცესში და ქ. ხონში გაუმჯობესებულია ინფრასტრუქტურა.

2026 წელს გამოყოფილი თანხა 150,0 ათასი ლარი.

დასუფთავება და გარემოს დაცვა. 1980,0 ათასი ლარი.

- ხონის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიბების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ხონის კომუნალური სერვის ცენტრი 1570,0 ათასი ლარით. მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა პატრონობა 280,0 ათასი ლარით. ადმინისტრაციული შენობების მოვლა დასუფთავება 80,0 ათასი ლარი. ნაგვის ურნების შესყიდვა 50,0 ათასი ლარი.
- ხარჯების დინამიკის ანალიზი (2024–2026)
- - **ხონის კომუნალური სერვისცენტრი:** ხარჯი იზრდება 2024 წლის 1 074,4 ათასი ლარიდან 2026 წლის 1 570,0 ათას ლარამდე (+46,2%).
- - **ხონის სასაფლაო მეურნეობა:** ზრდა შეადგენს 192,7 ათასიდან 280,0 ათას ლარამდე (+45,3%).
- - **ურნების შესყიდვა:** 2024 წელს ხარჯი არ ფიქსირდება, ხოლო 2025 და 2026 წლებში ინარჩუნებს 50,0 ათას ლარს .
- - **ადმინისტრაციული შენობების დასუფთავება:** მატება შედგა მხოლოდ 2024-2025 წლებში (74,6 → 80,0 ათასი ლარი; +7,2%), ხოლო 2026 წელს ხარჯი რჩება იგივე დონეზე.

- **განათლება. 4108,0 ათასილ ლარი. პრიორიტეტის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში სკოლამდელი და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა.**

- **სკოლამდელი განათლება - 3350,0 ათასი ლარი;**

ხონის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა. დღეის მდგომარეობით ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 20 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 500-მდე ბავშვი. ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 270-მდე პერსონალი. 2025 წელთან შედარებით დაფინანსება გაზრდილია 560 ათასი ლარით. გაზრდილი თანხა დაიხარჯება პერსონალის შრომის ანაზღაურების ზრდისა და გაუმჯობესებული კვების ხარჯების დასაფინანსებლად.

არაფორმალური განათლების მხრივ მუნიციპალიტეტს დაფუძნებული აქვს სამი ა(ა)იპ-ი. 2026 წელს დაფინანსება შეადგენს 758.0 ათას ლარს. მრავალპროფილიან საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებს, რომლებიც თავისი სტრუქტურით მრავალი მიმართულებით ემსახურება 6 წლიდან ბავშვებს, მოზარდებსა და ახალგაზრდებს. დაწესებულებებში სასწავლო- აღმზრდელობითი სამუშაოების ძირითად ფორმას წარმოადგენს საწრეო, სტუდიური და საკლუბო სამუშაოები სადაც ძირითადად ხორციელდება არაფორმალური განათლების მიღება, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვის უნარ-ჩვევების, კომპეტენციების, ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებას არაფორმალურ, ბუნებრივ გარემოში, სადაც ბავშვებს უქმნიან მოტივაციას, იმოქმედონ და ისწავლონ საკუთარი ინტერესების მიხედვით. 2026 წელს შენარჩუნდება ყველა პროგრამა რომელიც ხორციელდებოდა 2025 წელს.

პროგრამას ანხორციელებს ა(ა)იპ ვეტა ჩხენკელის სახელობის მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი დაფინანსება 350,0 ათასი ლარი. ა(ა)იპ ინფორმატიკის ცენტრი დაფინანსება 143,0 ათასი ლარი და ა(ა)იპ ხონის ტექნიკურ შემოქმედებითი გიმნაზია დაფინანსება 265,0 ათასი ლარი.

ა(ა)იპ-ების დაფინანსების ანალიზი (2024–2026)

დაფინანსების მაჩვენებლების ანალიზი აჩვენებს სტაბილურ ზრდას ყველა ა(ა)იპ-ში. ძირითადი ტენდენციებია შემდეგი:

- **ა(ა)იპ ვეტა ჩხენკელის სახელობის მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი:**

2024 წელს დაფინანსება შეადგენდა 253,6 ათას ლარს, 2025 წელს — 312,8 ათას ლარს (+23,4%), ხოლო 2026 წელს იზრდება 350,0 ათას ლარამდე (+11,9%). ჯამურად, ზრდა 2024–2026 წლებში შეადგენს დაახლოებით **+38,0%**.

- **ა(ა)იპ ინფორმატიკის ცენტრი:**

დაფინანსება გაიზარდა 2024 წლის 88,9 ათასი ლარიდან 2025 წლის 123,6 ათას ლარამდე (+39,0%), ხოლო 2026 წელს — 143,0 ათას ლარამდე (+15,7%). ჯამურად, ზრდა 2024–2026 წლებში შეადგენს **+60,9%**.

- **ა(ა)იპ ხონის ტექნიკურ შემოქმედებითი გიმნაზია:**

დაფინანსება გაიზარდა 2024 წლის 170,5 ათასი ლარიდან 2025 წლის 240,1 ათას ლარამდე (+40,9%), ხოლო 2026 წელს — 265,0 ათას ლარამდე (+10,4%). ჯამურად, ზრდა 2024–2026 წლებში შეადგენს **+55,4%**.

დასკვნა:

2026 წლის ბიუჯეტით ყველა ჩამოთვლილი ა(ა)იპ-ის დაფინანსებს ზრდა უკავშირდება საგანმანათლებლო და ახალგაზრდულ აქტივობათა გაფართოებას, პერსონალის ხელფასების მატებას. ყველაზე მაღალი პროცენტული ზრდა დაფიქსირდა **ინფორმატიკის ცენტრში (+60,9%)**,

კულტურა,რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი - 2889.0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის 2026 წელს განისაზღვროს 2889.0 ათასი ლარით. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

სპორტის სფეროს განვითარების მიზნით გამოყოფილია 665,0 ათასი ლარი, გასულ წელთან შედარებით ზრდა 74.2 ათასი ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს ა(ა)იპ ხონის სასპორტო სკოლა, რომლის დაფინანსება 2026 წელს შეადგენს 600,0 ათას ლარს. 2026 წელს შენარჩუნდება ყველა პროგრამა, რომელიც ხორციელდებოდა 2025 წელს.

გარდა სასპორტო სკოლისა მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის სამსახური ანხორციელებს სპორტის პოპულარიზაციასა დასხვადასხვა სპორტულ აქტივობებს. ორგანიზებას უწევს მუნიციპალიტეტში მიმდინარე სპორტთან დაკავშირებულ საკითხებს და აწყობს სპორტულ ღონისძიებებს. ამ მიზნით გამოყოფილი არის 65,0 ათასი ლარი.

სპორტული დაფინანსების ანალიზი (2024–2026)

სპორტული მიმართულების დაფინანსების ანალიზი აჩვენებს ზომიერ, თუმცა სტაბილურ ზრდას 2026 წლისთვის. ძირითადი მონაცემებია შემდეგი:

- **ა(ა)იპ ხონის სასპორტო სკოლა:**
  2024 წელს დაფინანსება შეადგენდა 398,9 ათას ლარს, 2025 წელს გაიზარდა 530,8 ათას ლარამდე (+33,1%),
  ხოლო 2026 წელს გაიზრდება 600,0 ათას ლარამდე (+13,0%). ჯამურად, 2024–2026 წლებში დაფინანსება გაიზარდა **+50,4%**.
  ზრდა განპირობებულია ძირითადად პერსონალის შრომის ანაზღაურების ზრდიდან გამომდინარე.

- **სპორტული ღონისძიებები:**
  2024 წელს დაფინანსება შეადგენდა 65,4 ათას ლარს, 2025 წელს მცირდება 60,0 ათას ლარამდე (-8,3%), თუმცა 2026 წელს ისევ იზრდება 65,0 ათას ლარამდე (+8,3%). ჯამურად, 2024–2026 წლებში დაფინანსება რჩება
  თითქმის იგივე დონეზე (**-0,6%** განსხვავებით).

- კულტურისა და ხელოვნების სფეროს განვითარების მიზნით მუნიციპალიტეტი ანხორციელებს სამხატვრო სკოლის, მუზეუმის, ბიბლიოთეკების , სამუსიკო სკოლის, თეატრისა და ახალგაზრდული ღონისძიებების მხარდაჭერას. უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტი ამ ხრივ 2026 წელს გამოყოფს 1534,0 ათას ლარს. რაც 2025 წელის საწყის ბიუჯეტზე 139,6 ათასით მეტია. 10.01 %. 2024 წელს დაფინანსება შეადგენდა 990,9 ათას ლარს. რაც 2026 წელთან შედარებით 543,1 ათასით ლარით ნაკლებია. პროცენრული ზრდამ შეადგინა 54,8 %.

კულტურისა და ხელოვნების სფეროს ქვეპროგრამების დაფინანსების შინაარსობრივი ანალიზი (2024–2026 წწ.)

საერთო დაფინანსება 2024 წლის 990,9 ათასი ლარიდან 2026 წლისთვის იზრდება 1,534 ათას ლარამდე, რაც წარმოადგენს დაახლოებით 55%-იან ზრდას ორ წელიწადში. ზრდის ტემპი განსაკუთრებით მაღალია 2024–2025 წლებში

(40.8%), ხოლო 2025–2026 წლებში მატება შედარებით სტაბილური – დაახლოებით 10%-ის ფარგლებშია. ეს მიუთითებს იმაზე, რომ პირველ ეტაპზე მუნიციპალიტეტმა მოახდინა ძირითადი დაფინანსების ზრდა, ხოლო შემდეგ წლებში დაფინანსება დამკვიდრდა სტაბილურ დონეზე.

სამხატვრო სკოლის დაფინანსება იზრდება 89,97 ათასიდან (2024წ) 131 ათას ლარამდე (2026წ) (45,6%). **მუზეუმის** დაფინანსება იზრდება 101,85 ათასიდან (2024წ) 145 ათას ლარამდე (2026წ) (42,4%). **ბიბლიოთეკების** დაფინანსება იზრდება 169,95 ათასიდან (2024წ) 278 ათას ლარამდე (2026წ) (63,6%) . **სამუსიკო სკოლის** დაფინანსება იზრდება 339,2 ათასიდან (2024წ) 480 ათას ლარამდე (2026წ) (41,6%). **თეატრის** დაფინანსება იზრდება 289,93 ათასიდან (2024წ) 500 ათას ლარამდე (2026წ) (72,5%), 2024–2026 წლების განმავლობაში კულტურის სფეროს დაფინანსება ხონის მუნიციპალიტეტში იზრდება თითქმის ყველა მიმართულებით. ყველაზე მაღალი ზრდა აღინიშნება თეატრისა და ბიბლიოთეკების მიმართულებებში, რაც მიუთითებს კულტურული ინფრასტრუქტურისა და ხელოვნების ხელშეწყობის პრიორიტეტულობაზე. საშუალო ზრდის ტემპი ორ წელიწადში შეადგენს დაახლოებით 50%-ს, რაც მნიშვნელოვან წინსვლად შეიძლება ჩაითვალოს ადგილობრივი კულტურის მდგრადი განვითარების თვალსაზრისით.



საინფორმაციო-უზრუნველყოფის მხარდაჭერა ფინანსდება 70,0 ათასი ლარით. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება გაზეთი ,,ხონი"-ს გამოშვება თვეში ორჯერ. თითოეული გამოშვების ტირაჟი შეადგენს 500 ცალს დაფინანსება 2024 წელთან შედარებით გაზრდილია 22,0 ათასი ლარით. 2025 წელს დაფინანსება შეადგენს 61,3 ათას ლარს. დაფინანსება 2024 წელთან შედარებით გაზრდილია 45,8 %-ით, 2025 წელთან შედარებით 14,2%-ით.

- 2026 წელს სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების განხორციელებისათვის გამოყოფილი დაფინანსება შეადგენს 400,0 ათას ლარს. რაც ძირითადად მოიცავს ტრადიციული ღონისძიებების, დღესასწაულების კულტურული ღონისძიებების ორგანიზებასა და განხორციელებას. სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიეის მოწყობასა და სხვა პროგრამებს.
- რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსება განსაზღვრულია 150,0 ათასი ლარით.

□□მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა- 1490,0 ათასი ლარი.

- ✓ **საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა - 188,7 ათასი ლარი;**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:· არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; · დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; · მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ ხონის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი.

სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული, პროგრამების და ქვეპროგრამების 2026 წელს გამოყოფილი თანხა შეადგენს 860.3 ათას ლარს

სოციალური პროგრამები

შ.შ.მ პირებთან დაკავშირებული ღონისძიებებისათვის გამოიყო 24,0 ათასი ლარი. თანხა დაიხარჯება მუნიციპალიტეტში მოქმედი 2 დღის ცენტრის ფუნქციონირებისათვის.

მრავალშვილიან ოჯახებზე ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა 14,0 ათასი ლარი.

100 და მეტი წლის ასაკს მიღწეული პირების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა 0,5 ათასი ლარი.

სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების/ თანადაფინანსების პროგრამა 370,0 ათასი ლარი.

ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პირების სამედიცინო მომსახურების დაფინანსება/ თანადაფინანსების პროგრამა 160,0 ათასი ლარი.

დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის" სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებულ ბენეფიციარებზე ყოველთვიური ფულადი დახმარების პროგრამა 43.2,0 ათასი ლარი.

მშობელთა ზრუნველობამოკლებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვების მეურვეზე/მზრუნველზე და 18 წლის პირზე, რომელსაც ყავდა მეურვე/მზრუნველი ფულადი დახმარების პროგრამა " 22,0 ათასი ლარი.

მარტოხელა მშობლის ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა 22,0 ათასი ლარი.

ომის ვეტერანებისა და მასთან გათანაბრებული პირების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა 35,0 ათასი ლარი.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპული პირების ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა 13,0 ათასი ლარი.

შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა დახმარების პროგრამა 100,0 ათასი ლარი.

სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული ბავშვების ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა 3,0 ათასი ლარი.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამა 0,7 ათასი ლარი.

გარდაცვლილი იძულებით გადაადგილებული პირის ოჯახის წევრზე ერთჯერადი ფულადი დახმარება 6,0 ათასი ლარი.

წყალმომარაგების ხარჯების ყოველთვიური თანადაფინანსების პროგრამა 32,5 ათასი ლარი.

ცელიაკიით დაავადებული ბავშვების ყოველთვიური ფულადი დახმარების პროგრამა 6,0 ათასი ლარი.

სოციალურად დაუცველ პირებზე, რომლებსაც შეეძინათ პირველი შვილი ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა 10,0 ათასი ლარი.

პროგრამა „სოციალური უზრუნველყოფა“ ხონის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი ყველაზე მოცულობითი და მნიშვნელოვანი სოციალური მიმართულებაა, რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობის მოწყვლადი ფენების — მრავალშვილიანი ოჯახების, შშმ პირების, მარტოხელა მშობლების, რეინტეგრირებული ბავშვების, ომის ვეტერანებისა და სხვა ჯგუფების მხარდაჭერას.

პროგრამის ბიუჯეტი ყოველწლიურად მოიცავს რამდენიმე ათეულ ქვეპროგრამას და აერთიანებს როგორც ერთჯერად ფულად დახმარებებს, ისე მომსახურებაზე თანადაფინანსებას. თუმცა, მრავალწლიანი პრაქტიკა აჩვენებს, რომ პროგრამების დიდი ნაწილი 10 წელზე მეტია უცვლელი ფორმით მოქმედებს და არსებითად საჭიროებს გადახედვასა და მოდერნიზებას. პროგრამების უმრავლესობა მიმართულია ერთჯერადი მხარდაჭერისკენ, რაც მოსახლეობას დროებით შველის, მაგრამ გრძელვადიან სოციალურ სტაბილურობას ვერ უზრუნველყოფს.

მთავარი გამოწვევებია:

1. პროგრამების მოძველებული ფორმა – მრავალი ქვეპროგრამა მოქმედებს ათ წელზე მეტია და მხოლოდ ნაწილობრივ ერგება დღევანდელ სოციალურ რეალობას. დახმარების ოდენობები არ შეესაბამება ინფლაციის დონეს და ხშირად არ წარმოადგენს რეალურ მხარდაჭერას.

2. ბენეფიციართა შერჩევის არაეფექტური მექანიზმი – ბენეფიციართა განსაზღვრა ხდება მხოლოდ რეგისტრაციის ან ასაკის მიხედვით და არა სოციალური საჭიროების სიღრმის შეფასებით, რის გამოც ზოგიერთ შემთხვევაში პროგრამა იღებს ფიქტიურ ხასიათს.

3. გრძელვადიანი ეფექტის ნაკლებობა – მოქმედი მხარდაჭერის ფორმები იშვიათად გულისხმობს ბენეფიციარის რეაბილიტაციას, დასაქმებას ან განათლების ხელშეწყობას, ამიტომ მათი გავლენა დროებითია.

4. მონიტორინგისა და შეფასების სუსტი მექანიზმი – არ არსებობს სისტემური ანალიზი, რომელიც შეაფასებს თითოეული პროგრამის შედეგიანობას (მაგ. რამდენად გაუმჯობესდა ბენეფიციართა ცხოვრების ხარისხი კონკრეტული დახმარების შემდეგ).

შეჭირვებული მოსახლეობის უფასო კვებით უზრუნველყოფის მიზნით მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს უფასო სასადილოები სადაც ყოველდღიურად დაახლოებით 260 ბენეფიციარი იღებს უფასო საკვებს. 2026 წელს მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი დაფინანსება შეადგენს 441 ათას ლარს. მადლიერების სახლსა და სათნოების სახლში დაფინანსება იზრდება შესაბამისად +10,4% და +6,2%-ით.

- მუნიციპალიტეტში ეკონომიკური განვითარების მიზნით მიმართული სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსებისათვის 2026 წელს გამოიყო 70.0 ათასი ლარი.
  თვითმმართველობის ქონების დაცვა რეგისტრაცია და შეფასება 40,0 ათასი ლარი.
  ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა 30,0 ათასი ლარი.

მმართველობა - 5893,9 ათასი ლარი, პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება. ამავე პრიორიტეტიდან ფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორიცაა მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა, საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი, მუნიციპალიტეტის ვალდებულებების (სესხები, სასამართლო გადაწყვეტილებები) მომსახურება. პრიორიტეტი ასევე ითვალისწინებს, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას.
ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო 1567,0 ათასი ლარი.

- ხონის მუნიციპალიტეტის მერია 3950,5 ათასი ლარი.
- საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა 20,0 ათასი ლარი.
- მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდი 250,0 ათასი ლარი.
- წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა 50.0 ათასი ლარი.
- მუნიციპალიტეტის ვალდბულებების მომსახურება და დაფარვა(მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული ..დაფარ) 56.4 ათასი ლარი.

„ ხონის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტთან ერთად წარმოდგენილია:

1. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი (2026-2029 წლები);
2. ინფორმაცია 2025 წლის 9 თვის შესრულების შესახებ;
3. ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ;
4. კაპიტალური ბიუჯეტის დანართი;
5. ინფორმაცია აიპიების შესახებ.